კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში

საინფორმაციო წერილი
#13 - ზამთარი 2022 წ.

სარჩევი

1. სარედაქციო წერილი
2. ინტერვიუ დოქტ. მეგან ბასტიკთან, გენდერისა და უსაფრთხოების საკითხების მკვლევართან და ქალბ. სოლენ ბრაბანტთან DCAF-ის გენდერისა და უსაფრთხოების განყოფილების პროექტის ოფიცერთან
3. კოლუმბია: ნატო 2030 დღის წესრიგში შეტანილი წვლილი და კოლუმბია – გლობალური სტრატეგიული ალიანსი
4. კოლუმბია: თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოების ახალ ერაში შეტანილი წვლილი
5. საქართველო: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების (BI) ტრენინგი ეთიკური დილემის საკითხებზე
6. საქართველო და უკრაინა: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების კოლეგიალური სემინარი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SSU) მონაწილეობით
7. იორდანია: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების კონსულტაციები
8. მოლდოვა: საორიენტაციო კურსი – ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების მსვლელობისას.
9. პერუ: კონსულტაციები ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესთან დაკავშირებით
10. ტუნისი: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის შესრულება
11. უკრაინა: გაცნობითი სემინარი შს სამინისტროს აკადემიებთან და სასწავლო დაწესებულებებთან; ტრენერების მომზადება და ოპერაციებში კეთილსინდისიერების ამაღლება კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგისა და განათლების ცენტრისთვის (BITEC); "MODUS-ის ინიციატივის"კონფერენცია; კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან ერთად; პარტნიორთა ხმა
12. ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა და ქალთა, მშვიდობის და უსაფრთხოების პროექტი (WPS): ურთიერთკავშირი და ურთიერთგამაძლიერებელი ზეგავლენა
13. პუბლიკაციები
14. რუბრიკები

სარედაქციო წერილი

2022 წელს აღინიშნება 15 წლისთავი ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის დაარსებიდან. მთელი წლის განმავლობაში, ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროფესიონალთა საზოგადოებასთან - ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პარტნიორებთან და მონაწილე ქვეყნებთან ერთად - ჩვენ აღვნიშნავთ ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების ძირითადი პრინციპების კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დაცვის მნიშვნელობას. დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტები არსებით როლს ასრულებს ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობისათვის. დღეს მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ისე როგორც არასდროს მნიშვნელოვანია თავისუფალი და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებსაც ახასიათებთ მედეგობა ისეთი ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ როგორიცაა კორუფცია, უგერგილო მმართველობა და პიროვნული კეთილსინდისიერების ნაკლებობა.

2007 წლის ნოემბერს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს მიერ მისი დაარსების დღიდან, ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესი ძალას არ იშურებს ვაშინგტონის ხელშეკრულების პრეამბულაში ჩამოყალიბებული ნატო-ს ღირებულებების წინ წასაწევად. გარდა ამისა ბოლო 15 წლის განმავლობაში, ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესი ასევე იკვლევს საუკეთესო პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბების მხარდასაჭერად, როგორც ეს ნატო-ს თავდაცვითი ინსტიტუციური აღმშენებლობის შესახებ პარტნიორობის სამოქმედო გეგმაშია ასახული. შემოვიფარგლებით ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი მიღწევის აღნიშვნით: 2016 წლის ივნისში, ნატო-ს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა მხარი დაუჭირეს კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკას,[1] როგორც უმთავრეს პოლიტიკურ ნიშანსვეტს, აღიარეს კორუფცია უსაფრთხოების საფრთხედ, რომელიც არა მხოლოდ ძირს უთხრის დემოკრატიას, კანონის უზენაესობას და ეკონომიკურ განვითარებას, არამედ ასევე აკნინებს საზოგადოების ნდობას თავდაცვის ინსტიტუტების მიმართ და უარყოფითად აისახება ბრძოლისუნარიანობაზე. BI პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარება არის ის, რომ BI თანაბრად ვრცელდება ნატო-ს მოკავშირეებსა და პარტნიორ ქვეყნებზე და თავად ნატო-ზეც, როგორც ორგანიზაციაზე. არსებითად, BI-ის პოლიტიკის განსახორციელებლად შემუშავდა ორი სამოქმედო გეგმა, 2016-2021 და 2021-2026 წლებისთვის. აღნიშნული სამოქმედო გეგმები ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებს წარუდგინეს 2016 წლის დეკემბერში, ხოლო თავდაცვის მინისტრებს, 2021 წლის თებერვალში. 2021

[1] https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68368.htm

წლის თებერვალში მოკავშირეები შეთანხმდნენ ნატო-ს სამხედრო კონცეფციაზე ოპერაციებში BI-ის გამოყენების თაობაზე. გარდა ამისა, 2012 წლის აგვისტოში, მოკავშირეებმა მიიღეს BI-ის განათლებისა და წვრთნის გეგმა და აიყვანეს BI აკადემიური დისციპლინის სტატუსში. კონცეპტუალური ჩარჩო წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ მხრივ ნატო-ს BI-ს საგანმანათლებლო კომპონენტს ბადალი არ მოეპოვება. ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი არის ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების დისციპლინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. წარმოადგენს რა ნატო-ს მოთხოვნათა განსაზღვრის ორგანოს ნატო-ს ტრანსფორმაციის სარდლობის (ACT) წინამძღოლობით ცენტრი შეიმუშავებს საგანმანათლებლო გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ქვეყანაში კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ამ პროცესში წამყვან როლს ასრულებს ნატო-ს BI-ის სანიმუშო კურიკულუმი, რომელიც ითარგმნა 12 ენაზე. წლების განმავლობაში ნატო-ს BI-მ და მისმა პარტნიორებმა შეიმუშავეს საგანმანათლებლო აქტივობების ფართო სპექტრი - სარეზიდენტო კურსები, მობილური სასწავლო ჯგუფები, ონლაინ მოდულები, ინსტრუქტორების მომზადების პროგრამები, ადგილობრივი ლიდერების ჩართულობა, კოლეგიალური კონსულტაციები და ა.შ. - სტრატეგიულ, ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე.

კორუფცია და მანკიერი პრაქტიკა მუდმივად განიცდის განვითარებას სხვადასხვა სახით. პიროვნული კეთილსინდისიერების ნაკლებობაც ასევე სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ნატო-ს BI-მ, 15 წლისთავზეც, უნდა შეინარჩუნოს სისხარტე და მოერგოს კორუფციის მანკიერებას და მის ახალ ჰიბრიდულ ფორმებს. ამრიგად, 15 წლის ასაკი არ ნიშნავს იმას, რომ წიგნის ეს თავი დაიხურა. პირიქით, ნატო-ს BI აგრძელებს მისთვის დამახასიათებელი სპეციალიზაციის განვითარებას, რათა მიღებული გამოცდილებით და ცოდნით იპოვოს ახალი პასუხები კორუფციის, უგერგილო მმართველობის, პიროვნული კეთილსინდისიერების და ეთიკური სტანდარტების ნაკლებობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, საიუბილეო წელი დაიწყო BI-ს მთელი რიგი ინიციატივების უწყვეტი განხორციელებით. სიხარულით აღვნიშნავთ, რომ გრძელდება ჩვენი თანამშრომლობა ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრთან (DCAF) თემაზე: „ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ინტეგრირება ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების საქმეში". ეს პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს კოლექტიური ცოდნის ბაზა კეთილსინდისიერების ამაღლებასა და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) დღის წესრიგს შორის არსებული კავშირის შესახებ თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სფეროში. გასული წლის ბოლოს ჩატარებული ექსპერტთა პირველი სემინარის წარმატებაზე დაყრდნობით, BI-მ ახლახან მოაწყო მეორე კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო მიგნებების დადასტურების, მეტი მტკიცებულების შეგროვებისა და ამ მნიშვნელოვან თემაზე დებატების გაფართოებისთვის.

სწორედ აღნიშნულ კონტექსტსთან და 2022 წლის ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სიხარულით გაუწყებთ, რომ ჩატარდა ინტერვიუ დოქტორ მეგან ბასტიკთან და ქალბატონ სოლენ ბრაბანტთან DCAF-ის გენდერისა და უსაფრთხოების განყოფილებიდან. ამ ინტერვიუში მეგანი და სოლენი გვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს გენდერული პერსპექტივების შესახებ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში და ქალების როლზე ანტიკორუფციულ ძალისხმევაში. საინფორმაციო წერილის ზამთრის ნომერი ასევე მიმოიხილავს განვლილ აქტივობებს, რომლებიც 2021 წლის დასაწყისიდან ჩატარდა კოლუმბიასთან, საქართველოსთან, იორდანიასთან, მოლდოვას რესპუბლიკასთან, პერუსთან, ტუნისსა და უკრაინასთან.

წლის დასაწყისი ასევე აღინიშნა ახალი ჰორიზონტების აღმოჩენით ზოგიერთი ჩვენი კოლეგისთვის. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ლუიზასა და თამთას, ნატო-ს შტაბ-ბინის და საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის სტაჟიორებს, რომლებმაც სტაჟირების პერიოდში საკუთარი წვლილი შეიტანეს ნატო-ს BI-ში. ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ დოქტორ როსარია პუგლისის, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ყოფილ ხელმძღვანელს კავკასიაში და მეკავშირე ოფიცერს საქართველოში ნატო-ს BI-თან დაკავშირებული მისი განუზომელი ღვაწლისთვის.

ამ განსაკუთრებით რთულ პერიოდში ნატო-ს BI-ის გულისყური მიპყრობილია უკრაინისადმი, რომელთანაც ნატო-ს BI იმთავითვე აწარმოებს თანამშრომლობას. ჩვენი ფიქრები დასტრიალებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო წარმომადგენელს, კარგი მმართველობის განმტკიცებაში ჩართული ინსტიტუტების თანამშრომლებს და ჩვენს ყველა კოლეგას ვისთანაც კი მოგვიწია მუშაობა.

ამ კონკრეტული აზრით დავასრულებთ 2022 წლის ზამთრის საინფორმაციო წერილის სარედაქციო მიმართვას. დღეს, როგორც არასდროს, კეთილსინდისიერება, კარგი მმართველობა, შიარაღებული და უსაფრთხოების ძალების დემოკრატიული კონტროლი და კანონის უზენაესობა ხელს უწყობს სოციალური და ინსტიტუციური მედეგობის გაძლიერებას. მათ ფუნდამენტური როლი აკისრიათ მშვიდობისა და უსაფრთხოების და დემოკრატიული მმართველობის განმტკიცების საქმეში.

ინტერვიუ

დოქტ. მეგან ბასტიკთან, გენდერისა და უსაფრთხოების საკითხების მკვლევართან და ქალბ. სოლენ ბრაბანტთან DCAF-ის გენდერისა და უსაფრთხოების განყოფილების პროექტის ოფიცერთან

დოქტ. დოქტ. მეგან ბასტიკი, გენდერისა და უსაფრთხოების საკითხების მკვლევარი, DCAF

ქალბ. სოლენ ბრაბანტი DCAF-ის გენდერისა და უსაფრთხოების განყოფილების პროექტის ოფიცერი

2022 წელს ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა (ნატო-ს BI) დაარსებიდან 15 წლისთავის იუბილეს აღნიშნავს. ნატო-ს BI-სა და ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრს (DCAF) განსაკუთრებით ხანგრძლივი პარტნიორობა აკავშირებთ, რომელიც აღინიშნება ერთობლივი ძალისხმევით თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში არსებულ სხვადასხვა ურთიერთგანმსჭვალავ საკითხებთან მიმართებით კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სფეროებიდან. 2021 წელს ეს პარტნიორობა კიდევ უფრო განმტკიცდა ახალი პროექტის განხორციელებით, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ნატო-ს BI-ის საქმიანობასთან ინტეგრაციას.

დოქტორო ბასტიკ, ნატო-ს BI-მ და DCAF-მა ახლახან წამოიწყეს ახალი თანამშრომლობა კოლექტიური ცოდნის ბაზის გასამყარებლად, კეთილსინდისიერების ამაღლებას (BI) და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს შორის არსებული კავშირის უკეთ გასააზრებლად. თქვენი აზრით, რა ძირითადი გამოწვევები არსებობს გენდერული ასპექტების განხილვისას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში?

ბოლო დრომდე, შეიარაღებული ძალებისთვის და თავდაცვის სხვა ინსტიტუტებისთვის გენდერზე მსჯელობა ქალების ინტეგრაციას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვაში ქალთა თანასწორობა კვლავ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება, არაერთი თავდაცვის უწყება ასევე ცდილობს განახორციელოს გენდერის უფრო ყოვლისმომცველი ინტეგრირება სამხედრო ოპერაციებში და გარდა ამისა, გაითვალისწინოს, თუ რა ზეგავლენას ახდენს გენდერული დინამიკა კონფლიქტის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე.

შეიარაღებულ ძალებში და სხვა თავდაცვის ინსტიტუტებში გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა მოითხოვს ცვლილებებს ინსტიტუციურ კულტურაში და იმის გადაფასებას, თუ როგორ უწყობს ხელს თავდაცვა საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ რას ნიშნავს „უსაფრთხოება" ადამიანის უსაფრთხოების გადასახედიდან და როგორ შეუძლია თავდაცვის სექტორს გასცეს საუკეთესო პასუხი გენდერიზებულ საფრთხეებთან დაკავშირებით, როგორც ცალკეულ პირებს, ასევე სახელმწიფოს. ეს გულისხმობს იმის გადაფასებასაც, თუ რა სახის პირადი შემადგენლობა, უნარები და ღირებულებები სჭირდება თანამედროვე თავდაცვის ძალებს.

ჩვენი აზრით, გონება-განწყობილების ამგვარი ცვლილება ყველაზე დიდი გამოწვევაა თავდაცვის სფეროში გენდერის წარმატებით და გააზრებულად ინტეგრირების გზაზე. ამის მიღწევა მხოლოდ სწავლებით შეუძლებელია. ახალი ხედვის დასახვას და ჩამოყალიბებას ლიდერობა სჭირდება, ისევე როგორც ხალხის გაძღოლას ინსტიტუციური ცვლილებებისკენ მიმავალ გზაზე. პიროვნულ და ქვედანაყოფების დონეზე საჭიროა დამოკიდებულებებისა და ქცევების შეცვლა, საზოგადოებასთან ურთიერთქმედებაში ჩართვის შესაძლებლობების კულტივირებისა და მათი ღირებულების წარმოსაჩენად და ასევე უსაფრთხოების არსზე უფრო ფართო თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად. ჩემი კვლევის ფარგლებში ჯარისკაცებთან გასაუბრებისას ისინი ხშირად გვიზიარებდნენ, რომ მათთვის არავის უსწავლებია ის, თუ როგორ მოეხდინათ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის აღკვეთა და ა.შ. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად სიღრმისეული ცვლილებებია საჭირო. სამხედრო პირებსთან მიმართებით გენდერული თვალსაზრისი ცვლის მათ იდენტობას და ასევე გავლენას ახდენს მათ მანდატსა და ამოცანებზე.

ნატო-თან მიმართებით, BI და WPS განვითარდა, როგორც ორი ცალკე აღებული სფერო თუმცა, ამავდროულად, მათ გააძლიერეს ერთმანეთის გავლენა საკუთარი სინერგიების შერწყმით და ურთიერთშევსებით. თქვენ როგორ აღწერდით კეთილსინდისიერების ამაღლებასა და WPS-ს დღის წესრიგს შორის არსებულ ურთიერთგადაკვეთას?

პოლიტიკის დონეზე ნატო-ს უკვე განხორციელებული აქვს BI ინტეგრაცია WPS-ში და WPS-ს ინტეგრაცია BI-ში. BI-ის სამოქმედო გეგმა იძლევა ძლიერ იმპულსს ნატო-ს BI-ს დღის წესრიგის მრავალგანზომილებიანი პერსპექტივის გასაძლიერებლად, მათ შორის WPS-თან მისი კავშირების გაძლიერებით. ნატო-ს BI-მ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები გენდერული თვალსაზრისის ინტეგრირებისთვის

საკუთარ მეთოდოლოგიაში და პრაქტიკული ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. მაგალითად, BI-ის თვით-შეფასების კითხვარის ბოლო რედაქციაში დაემატა კითხვები ზედამხედველობის რგოლში ქალების მონაწილეობის შესახებ, ასევე განსხვავებულ ზემოქმედებაზე, რასაც კორუფცია ახდენს ქალებსა და მამაკაცებზე, ქალების ექსპლუატაციაზე და გენდერულ პოლიტიკაზე. ნატო-ს BI-ის სანიმუშო კურიკულუმი შეიცავს მითითებებს გენდერულ საკითხებისადმი მიძღვნილ მოდულებზე, ხოლო BI-ის კურსებში განიხილება გენდერ/კორუფციის დინამიკა. გენდერული მოდული ჩართეს ნატო-ს BI-ის სერტიფიცირებულ კურსში - „ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების კურსი თავდაცვის უმაღლესი ხელმძღვანელობის მონაწილეობით", რომელიც ყოველწლიურად იმართება ნატო-ს ობერამერგაუს სკოლაში. გენდერული ბალანსი მხედველობაში მიიღება ნატო-ს BI-ის პროცესის განხორციელებისას საგნის ექსპერტებით დაკომპლექტებული BI-ის მობილური გუნდების წარგზავნისას.

ანალოგიურად, ნატო-ს WPS-ის პოლიტიკის გადასახედიდან, „კეთილსინდისიერება" არის ნატო/ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC) პოლიტიკისა და WPS-ის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი, რომელიც მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და პროფესიული და პირადი ქცევის უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ნატო-ს ყველა შესაბამის საქმიანობაში, მათ შორის ნატო-ს BI-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ WPS-სა და BI-ს შორის არსებული სინერგია აისახება შესაბამის პოლიტიკაში, ისმის კითხვა, რას ნიშნავს ეს სინამდვილეში? ჩვენი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ BI და WPS-ის დღის წესრიგი ერთმანეთს მინიმუმ ორი გზით უკავშირდება. პირველ რიგში, კეთილსინდისიერების ასამაღლებლად აუცილებელია გენდერის საყოველთაო დანერგვა, ანუ მეინსტრიმინგი და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიზნების მიღწევა. ქალები ბევრად მეტად განიცდიან კორუფციის ზეგავლენას, მათ შორის იმის გამოც, რომ მათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესისგან მიჯნავენ, ისინი ძალადობის და კრიმინალური ქმედებების მსხვერპლნი ხდებიან და პიროვნული განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდიან. უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში, როგორც წესი, მამაკაცების კონტიგენტი ჭარბობს და ხშირად მამაკაცურობის ვიწრო გაგების კულტივირება ხდება, რომელიც ამართლებს კორუფციის გენდერულ ფორმებს, როგორიცაა სექსუალური შევიწროება, სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა, რაც კეთილსინდისიერების პრობლემებს წარმოადგენს, რომელთა გადაჭრელად აუცილებელია გენდერულ მეინსტრიმინგზე და WPS-ზე მუშაობა. მეორეც, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში კეთილსინდისიერება აუცილებელია ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიზნების მისაღწევად. უსაფრთხოების სექტორი სახელდება გაეროს უშიშროების საბჭოს WPS-დმი მიძღვნილ ყველა რეზოლუციაში, როგორც გენდერული პოზიციიდან მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი სფერო: როგორც ქალების დაცვის, თანასწორობის დანერგვის და ქალთა გააზრებული მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი ასპარეზი. BI ქმნის იმ საფუძველს, რომელიც აუცილებელია ეფექტური, კარგი მმართველობით გამორჩეული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტებისთვის. ამრიგად, BI WPS-ის დღის წესრიგის მიღწევის პროცესის შუაგულში მოიაზრება: თუ დაწესებულება კარგად ვერ იმართება, აკლია ანგარიშვალდებულება, კორუმპირებულია და ა.შ., ის ვერ შეასრულებს WPS-ის ვალდებულებებს.

კვლევებით გამოვლინდა თანაფარდობის არსებობა ქალთა მონაწილეობასა და კორუფციის დაბალ დონეს შორის. იქნებ ამიხსნათ რა კავშირი არსებობს ამ ორ კომპონენტს შორის? რა როლს ასრულებს ქალთა მონაწილეობა ანტიკორუფციულ ძალისხმევაში?

ემპირიულმა კვლევებმა გამოავლინა რამდენიმე საინტერესო კორელაცია გენდერსა და კორუფციას შორის. ქალებსა და მამაკაცებს კორუფციის და კორუმპირებული პიროვნების განსხვავებული აღქმა აქვთ. ზოგიერთი კვლევით დგინდება, რომ ქალების აზრით, პოლიტიკურ პარტიებში, პარლამენტში, სამხედრო სექტორში, კერძო სექტორში, სასამართლო სისტემაში და სამედიცინო სფეროში კორუფციის დონე უფრო მაღალია. თუმცა, როგორც ჩანს, კორუფციის მიმართ შემწყნარებლობის გენდერული განსხვავებები განირჩევა კულტურული და სოციეტალური კონტექსტიდან გამომდინარე და ასევე დამოკიდებულია სოციალურ და ეკონომიკურ ჯგუფებისადმი კუთვნილებაზე.

მსოფლიოს მრავალი კუთხიდან მიღებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ის ქვეყნები, სადაც მთავრობაში ან პარლამენტში მეტი ქალია, ნაკლებად არიან მიდრეკილნი კორუფციისკენ და ზოგადად ქალები უფრო კეთილსაიმედო პიროვნებებად აღიქმებიან და ითვლება, რომ კორუფციისადმი ნაკლები გადახრა ახასიათებთ. თუმცა, საკითხავია ეს უბრალოდ კორელაციაა, თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი? შეიძლება შევედავოთ იმ აზრს, რომ ქალები ბუნებით არიან ნაკლებად კორუმპირებულები, იქნებ კორუფციის ალაგმვაც და იმავდროულად ქალებისთვის მონაწილეობის მეტი საშუალების უზრუნველყოფაც დემოკრატიის გამო ხდება. ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტები უზრუნველყოფენ კორუფციის მეტ კონტროლს და კეთილსინდისიერების ამაღლების მეტ მექანიზმებს და იმავდროულად ხელს უწყობენ გენდერულ თანასწორობას. საფრანგეთის ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის კვლევებით დაგინდა, რომ ქალებს პირველად არჩევისას ნაკლებად ახასიათებთ კორუფციისადმი მიდრეკილება, თუმცა ხელახლა არჩევის შემდეგ უარესობისკენ იცვლებიან. ამით მტკიცდება ვარაუდი, რომ ქალებსაც შეუძლიათ კორუფცულ ქსელებთან შეგუება და სამსახურეობრივი მდგომარეობით სარგებლობა.

ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავი უნდა შევიკავოთ ქალების „სტერეოტიპული შეფასებისგან", როდესაც კორუფციასთან მათ დამოკიდებულებას ვაანალიზებთ. არ უნდა ვავრცელებდეთ ბანალურ აზრებს, რომ თითქოსდა ქალები „ბუნებით" უფრო კეთილსაიმედოები არიან. საჭიროა, რომ ქალებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი საჯარო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ქალები თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი ანტიკო-

რუფციულ პროგრამებში თავიანთი შესაძლებლობებიდან, ეფექტურობიდან, უფლებამოსილებებიდან და წარმომადგენლობიდან გამომდინარე და არა ქალების „სიკარგეზე" საეჭვო იდეების გამო.

თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ კორუფციის გარკვეული ფორმები სავარაუდოდ ნაკლებად გავრცელებულია ქალების კოლექტივში: მაგალითად, კორუფციის გენდერული ფორმები, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაცია თუ ძალადობა და სექსუალური შევიწროება. ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა როლს ასრულებს ქალების სიმრავლე კოლექტივში ამგვარი ქცევის პრევენციასა და აღკვეთაში, არასრულია და არასაკმარისად დამარწმუნებელიც. იქნებ, ამ კავშირების გაანალიზების საუკეთესო გზა მასკულინობისა და კორუფციის ურთიერთდამოკიდებულების გააზრებაა. ჰიპერმასკულინური ქცევა ხშირად გვხვდება უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურების ინსტიტუციურ კულტურაში. უსაფრთხოების სტრუქტურებში არსებული სოციალური ერთობა შეიძლება ხასიათდებოდეს ფრაქციულობით და ჩვენი/სხვისი კუთვნილების დინამიკით, სადაც განმსაზღვრელი ხშირად „სასურველი" მასკულინური აგრესიული სტერეოტიპებია. უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებებში ჩაგვრა-დამცირების პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, იმისთვის რათა მამაკაცი შეუერთდეს „ჩვენი ბიჭების" ჯგუფს, მას შეიძლება დასჭირდეს შეურაცხმყოფელი ქმედებების განხორციელება საკუთარი ღირსების დასამტკიცებლად. ასეთი პრაქტიკა შეიძლება მოიცავდეს დისკრიმინაციულ ქმედებებს თანატოლების, განსაკუთრებით ქალი კოლეგების მიმართ, ხოლო ზოგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სექსუალურ ძალადობასაც. კორნელის გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის კვლევის ლაბორატორიის მიერ ახლახანს ჩატარებული კვლევით დგინდება, რომ უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლებს შორის ტოქსიკური მასკულინობისა და ტრადიციული გენდერული როლების მხარდამჭერი პოზიციის გაზიარება პირდაპირპროპორციულ კავშირშია უსაფრთხოების აგენტების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ამგვარი ფაქტების მიმღებლობის სურვილთან, ასევე მათი მხრიდან დისციპლინური გადაცდომების შესახებ შეტყობინების დაბალ მზაობასთან. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს მიგნებები ინტერესს იმსახურებს, განა ასე არაა? გენდერულ ინსტიტუციურ კულტურას და კორუფციას და კეთილსინდისიერებას შორის კავშირი შემდგომ კვლევას იმსახურებს.

მოცემული პროექტი მოითხოვს მრავალგანზომილებიან თვალთახედვას, რომელიც უნდა დაეყრდოს როგორც WPS-ის, ასევე BI-ის ექსპერტების გამოცდილებას. გასული წლის ბოლოს გაიმართა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის პირველი ონლაინ შეხვედრა. ექსპერტთა მეორე შეხვედრა გაიმართა 2022 წლის მარტში. თქვენ როგორ აღწერდით დამატებულ ღირებულებას, რომელიც შეიქმნა ექსპერტთა ორი ჯგუფის ერთად შეკრებით?

WPS-ც და BI-ც ტექნიკური ცოდნით, ერუდიციითა და პრაქტიკით გაჯერებულ სფეროებს წარმოადგენს. თუმცა ამ სფეროების პრაქტიკოსთა ჯგუფები უმეტესწილად ერთმანეთს მხოლოდ დროდადრო ხვდებიან ან მათ შორის კავშირი საერთოდ არ არსებობს. მათი თავშეყრით იქმნება გარკვეული სივრცე, სადაც შესაძლებელია იმაზე დაფიქრება თუ როგორ შეუძლია ცოდნას გენდერისა და უსაფრთხოების, გენდერული ძალადობის, ქალთა მონაწილეობისა და მსგავსი საკითხების შესახებ უკეთ ჩამოაყალიბოს BI-ის მიდგომები და პრაქტიკა. ანალოგიურად, BI-ის პრაქტიკოსებს შეუძლიათ დაეხმარონ WPS-ის ექსპერტებს იმის გაგებაში, თუ როგორ შეიძლება უკეთესად გადაიჭრას კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ღრმად გამჯდარი პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებენ WPS-ის განვითარებას. ამ პროცესს ასევე ხელი დიდად შეუწყო სხვადასხვა რეგიონების პერსპექტივის გათვალისწინებამ. მაგალითად, ექსპერტთა პირველ შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა 2021 წლის ბოლოს, მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების წარმოამადგენლები, არამედ აზიის და აფრიკისაც.

ნატო-ს BI-ისა და ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრს (DCAF) შორის არსებული თანამშრომლობა მიზნად ისახავს იმას, რომ BI-ის საქმიანობაში WPS-ის პერსპექტივების ჩართვა მოხდეს ფაქტებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. მართალია, პროექტი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ ხომ ვერ გვეტყვით, გაქვთ თუ არა რაიმე წინასწარი რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეუძლია ნატო-ს BI-ს ამ კუთხით თავისი ძალისხმევის გაზრდა?

WPS-ის პერსპექტივის სხვადასხვა ტიპის მმართველობის პროგრამებში ასახვის და ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერებაში ჩართვის ოცზე მეტი წლის გამოცდილება გვაქვს. კარგი იქნებოდა ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან უფრო მეტი დოკუმენტირებული კონკრეტული მაგალითი მიგვეღო BI-სა და WPS-ის ერთმანეთთან დაკავშირების პრაქტიკიდან. თუმცა, ახლაც კი ბევრი რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რა მიდგომებია ეფექტური, ხოლო ისეთი რესურსები, როგორიცაა DCAF, ეუთო/ODIHR და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტარიუმი გვთავაზობს პრაქტიკულ გზამკვლევს პოლიტიკის, მექანიზმების, ტრენინგისა და სტანდარტების მიმართულებით.

WPS-ისა და გენდერული პერსპექტივის BI-ში ჩართვისთვის საჭიროა:

- კორუფციისა და კეთილსინდისიერების შეფასების პროცესი მოიცავდეს გენდერულ პერსპექტივას, როგორც კითხვების დასმისას, ასევე მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზებისას;
- ანტიკორუფციულ და BI-ის სხვა პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე მომუშავე ჯგუფებში არსებობდეს გენდერული ცოდნა;
- BI პროგრამები ყველა ეტაპზე მოიცავდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებული თემების სხვადასხვა ქალებისა და მამაკაცების ჩართვას კონსულტაციებში და როგორც ქალების, ასევე მამაკაცების მონაწილეობას.
- არსებობდეს კორუფციის შესა-

ხებ შეტყობინების გენდერულად მგრძნობიარე მექანიზმები რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ კორუფციის ყველა ფორმას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას, სექსუალურ ექსპლუატაციას და სექსუალურ შევიწროებას.

- პირადი შემადგენლობა გადიოდეს ტრენინგს ანტიკორუფციულ მიდგომებზე გენდერული გადასახედიდან - მაგალითად, გაურბოდეს გენდერულ სტერეოტიპებს იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს კორუმპირებული.
- არსებობდეს კორუფციის გენდერული ასპექტების სრულფასოვანი მონიტორინგი და შეტყობინება, მათ შორის სქესის და ასაკის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების მეშვეობით.

ნატო-ს სტრუქტურებში, ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში უკვე არსებობს დიდი გამოცდილება იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა აღსრულდეს ზემოთჩამოთვლილი საკითხები, მათ შორის, არსებობს ბევრი ძალზე მცოდნე და გამოცდილი მრჩეველი გენდერულ საკითხებში. DCAF სიამოვნებით გაუწევს კონსულტაციას და მხარს დაუჭერს ნატო-ს ამ საქმიანობაში.

კოლუმბია: ნატო 2030 დღის წესრიგში შეტანილი წვლილი - გლობალური სტრატეგიული ალიანსი

ნატო-ს BI-ს თაობაზე დისკუსიისადმი მიძღვნილი ღონისძიების პანელისტები, კოლუმბიის ელჩი ბელგიაში, ევროკავშირსა და ნატოში - გარსია (მე-2 რიგი, მე-3 ფოტო), ბ-ნი მარკ დი პაოლო, ნატო-ს თავდაცვის ინსტიტუციური და პოტენციალის აღმშენებლობის დირექტორატის ყოფილი დირექტორი (მე-3 რიგი, პირველი ფოტო მარცხნივ და ბ-ნი სტივენ პრიდო, თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო, მე-3 რიგი, მე-3 ფოტო)

გაერთიანებული სამეფოს საელჩომ კოლუმბიაში, ნატო-ს საკონტაქტო პუნქტის საელჩოს რანგში, დაიწყო ონლაინ ღონისძიებების სერია ნატო 2030 დღის წესრიგისა და ნატო-კოლუმბიის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

პირველი ღონისძიება შედგა 2021 წლის 3 დეკემბერს. დისკუსიისას ყურადღება გამახვილდა ორ თემაზე, ახლადწარმოშობილ საფრთხეებზე, კოლუმბიის როლის გათვალისწინებით გლობალურ მატრიცაში და ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლებაზე.

ნატო-ს BI-ის პროგრამის თანამშრომლობა კოლუმბიის ეროვნული თავდაცვის სამინისტროსთან დაიწყო 2013 წლიდან, მანამდე სანამ კოლუმბია ნატო-ს პარტნიორი ქვეყანა გახდებოდა. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ეს თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობდა და ორმხრივად სასარგებლო იყო. კოლუმბიამ არაერთხელ გაუზიარა ნატო-ს საკუთარი გამოცდილება კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კარგი მმართველობის სფეროში, მათ შორის ავღანეთისა და უკრაინისთვის ჩატარებულ კოლეგიალურ ღონისძიებებზე მაღალი დონის კონფერენციებისა და სასწავლო კურსების კონტექსტში. სწორედ აღნიშნული თანამშრომლობა გახდა ნატო-ს BI-ის პანელის თემა ბელგიაში, ევროკავშირსა და ნატოში კოლუმბიის ელჩის, გარსიას, ნატო-ს ოპერაციათა სამმართველოს თავდაცვის ინსტიტუციური და პოტენციალის აღმშენებლობის ყოფილი დირექტორის მარკ დი პაოლოს და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის ბ-ნი. სტივ პრიდოს მონაწილეობით. ნატო-ს BI-ს პროგრამა რეგულარულად იწვევს ბ-ნ პრიდოს საკუთარი ექსპერტული ცოდნის და ეროვნული გამოცდილების გასაზიარებლად, განსაკუთრებით ნატო-ს BI-ს სახელმწიფო-კერძო ინიციატივის კონტექსტში. აღნიშნულმა აღიარებულმა მომხსენებლებმა ისაუბრეს კეთილსინდისიერების და კარგი მმართველობის მნიშვნელობაზე თავდაცვის სექტორისთვის და იმსჯელეს თუ რატომ არის კოლუმბია ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორი ამ დარგში.

ღონისძიებას დაესწრო 100-მდე მონაწილე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, კოლუმბიის კონგრესის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეცნიერები და ანალიტიკოსები.

კოლუმბია: თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოების ახალ ერაში შეტანილი წვლილი

2022 წლის 8 მარტს, გაერთიანებული სამეფოს საელჩომ ბოგოტაში, რომელიც კოლუმბიაში ნატო-ს საკონტაქტო პუნქტს და ნატო-ს BI-ს სატრასტო ფონდის ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს, გამართა დისკუსიის მეორე რაუნდი, რომელიც მიეძღვნა კოლუმბიის მიერ შეტანილ წვლილს ნატო 2030 დღის წესრიგში.

პრესტიჟული როსარიოს უნივერსიტეტის მასპინძლობით გაიმართა ერთდღიანი სემინარი ,,ნატო და კოლუმბია: თანამშრომლობაზე დამყარებული უსაფრთხოების ახალი ერა", რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას და მსჯელობის წამოწყებას ნატო-თან პრაქტიკული თანამშრომლობის ორ ძირითად ასპექტზე, როგორიცაა გარემოს უსაფრთხოების გამოწვევების მართვა და კეთილსინდისიერების ამაღლება.

ეკრანზე, ელჩი გარსია, კოლუმბიის ელჩი ბელგიაში, ევროკავშირსა და ნატოში და ქალბ. ბენედიქტ ბორელი, ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის ლიდერი, კოლუმბიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლიტიკისა და საერთაშორისო საქმეთა საკითხებში, ქალბატონი სანდრა ალზატე.

ნატო-ს BI-დმი მიძღვნილ სესიაზე კოლუმბიის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლიტიკისა და საერთაშორისო საქმეთა საკითხებში ქალბატონმა სანდრა ალზატემ განაცხადა: „BI სტრატეგიული ქვაკუთხედია. ჩვენ მზად ვართ და მოუთმენლად ველით გავაგრძელოთ BI-ის თვით-შეფასების და ექსპერტული რეცენზირების პროცესი, რათა ნატო-ს BI-თან თანამშრომლობის ახალი ეპოქის კარი შევაღოთ.'' ქალბატონმა ბენედიქტ ბორელმა, ნატო-ს BI-ის ჯგუფის ლიდერმა, ხაზი გაუსვა 2013 წლიდან BI-ის დარგში კოლუმბიასთან მუშაობისას მიღწეულ წინსვლას, რომელიც მანამდე დაიწყო, სანამ კოლუმბია ნატო-ს გლობალური პარტნიორი გახდებოდა. მან ასევე ისაუბრა თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობის რეფორმების გზით ინსტიტუციური გამჭვირვალობის გაძლიერების ძირითად შესაძლებლობებზე და გამოწვევებზე, სამოქალაქო საზოგადოების როლის ჩათვლით.

ეს ღონისძიება ხელმისაწვდომია ესპანურ ენაზეც, უყურეთ OTAN y Colombia: Una nueva era de seguridad: https://youtu.be/Ahc_63Ubhh8

გთხოვთ გამოგვყვეთ LinkedIn-ის გვერდზე
NATO Building Integrity

საქართველო: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების (BI) ტრენინგი ეთიკური დილემის საკითხებზე

დოქტორი როსარია პუგლისი, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ყოფილი უფროსი კავკასიაში, სიტყვით მიმართავს აუდიტორიას, ქალბატონ მაკა პეტრიაშვილთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან ერთად.

ჩვენი პარტნიორის, ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრის, (DCAF) მოწვევით, ნატო-ს BI-მ მონაწილეობა მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მოწყობილ ახალ სემინარში. სემინარი, რომელიც გაიმართა 2021 წლის 18 ნოემბერს, განხორციელდა DCAF-სა და თავდაცვის სამინისტროს შორის ქცევის კოდექსის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში. შეხვედრა შედგა პირადი დასწრებით, ნატო-ს BI-ს წარმოადგენდა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ყოფილი უფროსი, დოქტორი როსარია პუგლისი. მან ხაზი გაუსვა ურთიერთკავშირს ეთიკისა და კეთილსინდისიერების ცნებებს შორის და აღნიშნა, რომ ეს ცნებები წარმოადგენს ხიდს პიროვნების ქცევასა და პრინციპებს შორის და ასევე გვაკავშირებს იმ ინსტიტუციურ გარემოსთან, სადაც ჩვენ გვიწევს მუშაობა, რაც ეხმიანება ნატო-ს BI-ის პოლიტიკაში ნახსენები კეთილსინდისიერების განმარტებას.

ეს იყო ნატო-ს BI-ის ბოლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დოქტორმა როსარია პუგლისიმ. წლების განმავლობაში, ქალბატონმა როსარიამ გამოავლინა ღრმა, აქტიური და უაღრესად მძაფრი თავდადება კეთილსინდისიერებისა და კარგი მმართველობისადმი, რამაც ხელი შეუწყო ნატო-ს BI-ის დანერგვას სომხეთსა და საქართველოში.

საქართველო და უკრაინა: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების კოლეგიალური სემინარი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SSU) მონაწილეობით

ნატო-ს BI-მ განახორციელა ნატო-ს BI-ის თვით-შეფასების კითხვარის და ექსპერტული რეცენზირების პროცესის მოსალოდნელი შედეგებისა და ინსტიტუციური განვითარების პროფილირებული მხარდაჭერის პრეზენტაცია, რომლის ინიცირება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მოხდა 2021 წლის ზაფხულის ბოლოს, 17 ნოემბერს კი დაგვირგვინდა უკრაინის უშიშროების სამსახურების მხარდაჭერით კოლეგიალური ღონისძიების ჩატარებით.

ნატო-ს BI ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოცდილების გაზიარებას და კოლეგიალური ხასიათის ღონისძიებებს. 2021 წლის განმავლობაში ნატო-ს BI-ის უკრაინელი პარტნიორებმა და თავდაცვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს ნატო-ს BI-ის მხარდაჭერაში იმ ინსტიტუტებთან მუშაობისას, სადაც ახლახანს დაინერგა ნატო-ს BI, მისი მანდატი და მეთოდოლოგია.

იორდანია: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების კონსულტაციები

ნატო-ს BI-მ განაახლა აქტიური თანამშრომლობა იორდანიის შეიარაღებულ ძალებთან (იშძ), იორდანიის დედაქალაქ ამანში 2021 წლის 2-4 ნოემბერს პირადი დასწრების ფორმატში ჩატარებული ვიზიტის სახით. COVID-19-ის გამო დაწესებულმა სამგზავრო შეზღუდვებმა თავისი გავლენა მოახდინა ნატო-ს BI ექსპერტული რეცენზირების პროცესზე, რომელიც მოითხოვს უშუალო კონტაქტს და ადვილად არ ერგება ონლაინ ფორმატს.

იორდანიის შეიარაღებულმა ძალებმა თვით-შეფასების კითხვარი 2019 წლის ნოემბერში შეავსეს. 2022 წელს დაგეგმილია ექსპერტული რეცენზირების პროცესის ჩატარება. 2021 წლის გაზაფხულზე იორდანიასთვის გამოცემულ თავდაცვითი პოტენციალის ზრდის (DCB) პაკეტის განახლებულ ვერსიაში თანამშრომლობის ცალკე სფეროს სახით ჩართულია კეთილსინდისიერების ამაღლება. ნატო-ს BI-ის პროცესში სრულად ჩართვის გადაწყვეტილება იორდანიის შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს 2018 წელს. ერთი წლის ვადაში თვით-შეფასების კითხვარის შევსება მნიშვნელოვანი მიღწევაა და ნიშანსვეტურ ეტაპს წარმოადგენს იორდანიასა და ნატო-ს შორის მიმდინარე თანამშრომლობის პროცესში, რაც იშძ-ს საშუალებას აძლევს ისარგებლოს ნატო-ს BI-ის ექსპერტული ცოდნით სტრუქტურების, კარგი პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზის სფეროში კარგი მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით. იმავდროულად, ნატო-ს BI ორიენტირებულია ეროვნული BI-ის ექსპერტული ცოდნის გაზრდაზე და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე BI-ის წინსვლის ხელშესაწყობად. ფოკუს ჯგუფის მიერ ჩატარებულ იქნა ონლაინ BI საინფორმაციო კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა იშძ-ს ფარგლებში უფრო ფართო აუდიტორიისთვის კურსის შესაბამისობისა და გამოყენებადობის შემოწმებას. მიმდინარეობს მუშაობა კურსის არაბული ვერსიის მომზადებაზე.

მოლდოვას რესპუბლიკა: საორიენტაციო კურსი - ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების მსვლელობისას.

მოლდოვას რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მონაწილეობენ საორიენტაციო კურსში - ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების მსვლელობისას.

2022 წლის 11-13 იანვარს, გაერთიანებული ძალების სარდლობამ ნეაპოლში და ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამამ ჩაატარეს ჰიბრიდული მობილური სასწავლო კურსი - კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში, რომელსაც დაესწრო მოლდოვას რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და სამხედრო ნაწილების 50 წარმომადგენელი.

ტრენინგი ეხებოდა ტაქტიკურ დონეზე კეთილსინდისიერების ამაღლების თემას მისიებისა და ოპერაციების კონტექსტში, იგი დაემატება მოლდოვას შეიარაღებული ძალების კონტიგენტის მოსამზადებელ სასწავლო პაკეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (გაერო), ევროკავშირის (EU), ან ნატო-ს მისიებსა და ოპერაციებში წარგზავნამდე, როგორიცაა კოსოვოს მრავალეროვნული შეიარაღებული ძალები (KFOR).

აღნიშნული კურსი მოლდოვას თავდაცვის სამინისტროსთვის გამიზნული ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროფილირებული პროგრამის ნაწილია და უკვე მეექვსედ ჩატარდა კიშინიოვში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ინსპექტორატის მიერ, ნატო-ს მხარდაჭერით. კურსი ჩატარდა ბოსნია და ჰერცეგოვინის მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების სასწავლო ცენტრის (PSOTC) ინსტრუქტორთა ჯგუფის დახმარებით.

ნატო-ს მიერ ყურადღების გამახვილება BI-ის ფაქტორზე ოპერაციებისას მიზნად ისახავს კორუფციული რისკების გააზრებას და ბრძოლისუნარიანობაზე და მისიის წარმატებაზე მათი გავლენის უფრო მეტად გათვითცნობიერებას.

ნატო-ს BI-ს პერსპექტივამ და ნორმატიულმა დოკუმენტებმა შექმნეს ჩარჩო, რომელიც ხაზს უსვამს ქცევის კოდექსების, ეთიკური სტანდარტებისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელოვნებას შეიარაღებულ ძალებში. BI-ის პრინციპებმა და კორუფციისა და კეთილსინდისიერების სხვადასხვა ინდივიდუალურმა გაგებამ ხელი შეუწყო კოლეგებთან დისკუსიას და აზრთა გაცვლას გადაცდომებზე და იმ შედეგებზე რაც გადაცდომებს მოჰყვება.

სასწავლო ჯგუფების პრაქტიკული სესიები, რომლებიც შეიმუშავეს PSOTC-ის დარგობრივმა ექსპერტებმა, მონაწილეებს გამიზნულად სთავაზობდა რთულ კაზუსებს, თითოეული კურსანტის ინდივიდუალური უნარების ასამაღლებლად, მათი ცნობიერების ასამაღლებლად და სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას იმგვარ რეალურ სიტუაციებზე რეაგირებისთვის მოსამზადებლად, რომლებსაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ მისიის წარმატებაზე.

თავდაცვის სამინისტროს მზადყოფნას თავდაცვის სექტორში BI-ის დასანერგად ადასტურებდა დახურვის ცერემონიაზე ეროვნული თავდაცვის რესურსების სახელმწიფო მდივნის, ბ-ნი სერგიუ პლოპის დასწრება. ბრიგადის გენერალმა ელერმანმა, ნეაპოლის გაერთიანებული ძალების სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილემ, ხაზი გაუსვა გამოცდილების და კარგი პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობას, სახელდობრ, სხვადასხვა ოპერატიული დონის წარმომადგენელთა შორის.

ეს აქტივობა ჩატარდა უშუალოდ ნატო-სა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის არსებული სამხედრო პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის საზიარო სფეროების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, მისი მეშვეობით ასევე განხორციელდა ნატო-ს უფრო ფართო მიზნების მხარდაჭერა, კერძოდ ნდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რეგიონში თანამშრომლობის გასაღრმავებლად და სამხედრო თავსებადობას გასაზრდელად ნატო-ს მომავალი მისიების ფარგლებში.

კურსის გახსნის სესიაზე გამოდიან ნატო-ს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების ნეაპოლის სარდლობის ბრიგადის გენერალი ელერმანი (ჩართვა ხდება VTC-ით), მოლდოვას რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დირექტორატის უფროსი და ქალბატონი ბარბორა პაცლიკოვა, მოლდოვას რესპუბლიკაში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

პერუ: კონსულტაციები ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესთან დაკავშირებით

პერუ: კონსულტაციები ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესთან დაკავშირებით

ზამთრის განმავლობაში ნატო-ს BI აგრძელებს ურთიერთობას თავდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რაც ხელს უწყობს ნატო-ს BI-ის თვით-შეფასების და ექსპერტული რეცენზირების პროცესის სოციალიზაციას და მის ეფექტურად განხორციელებას.

ტუნისი: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის შესრულება

2021 წლის დეკემბერში ნატო-ს BI-მ და ტუნისის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ განახორციელეს ნატო-ს BI-ის თვით-შეფასების და ექსპერტული რეცენზირების პროცესი. 2017 წელს დაწყებული ნატო-ს BI-ის პროცესის დასრულება COVID-19-ის გამო გადაიდო. თუმცა, 2019 წლის ნოემბერში ტუნისში და 2020 წლის თებერვალში ნატო-ს შტაბ-ბინაში განხორციელებულმა ექსპერტული რეცენზირების ორმა ვიზიტმა, ხელი შეუწყო ონლაინ კონსულტაციების სერიასთან ერთად, ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის დასრულებას წლის ბოლომდე.

ამ სწავლებების დასკვნებს ეროვნული თავდაცვის სამინისტრო წლის განმავლობაში წარადგენს მაღალი დონის ღონისძიების ფარგლებში, რომელიც ჩატარდება ნატო-ს BI-სა და მისი პარტნიორების მხარდაჭერით და მიეძვნება კარგ მმართველობას და კეთილსინდისიერებას. იმავდროულად, ნატო-ს BI და ეროვნული თავდაცვის სამინისტრო აგრძელებენ თანამშრომლობას ნატო-ს BI-ის განათლებისა და წვრთნის ხელშეწყობისა და ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით კარგი მმართველობისა და კეთილსინდისიერების სფეროში, ნატო-ს BI-ის სულისკვეთებით, მასთან ერთად და მისი მეშვეობით .

საქართველო: განათლების დარგში გაძლიერებული პროფილირებული თანამშრომლობისადმი მიძღვნილი კონსულტაციები

2022 წლის იანვარსა და თებერვალში ნატო-ს BI-მ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ გააგრძელეს კონსულტაციები 2020-2021 წლებში შეთანხმებული თანამშრომლობის გაძლიერებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.

გაზრდილი თანამშრომლობა მიზნად ისახავს ახალი კურსების შემუშავებას საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს საჯარო ადმინისტრაციების პერსონალისთვის, მათ შორის ახალი კურსების შემუშავებას და ჩატარებას, მოძრავი სასწავლო ჯგუფის შექმნას და ტრენერების პროგრამის წამოწყებას. ნატო-ს BI-ის სულისკვეთებით, მასთან ერთად და მისი მეშვეობით.

საქართველოს დასახმარებლად გაწეული ძალისხმევის გასაზრდელად პიროვნული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ნატო-ს BI-მ გაზარდა თავისი ინსტრუმენტარიუმის ხელმისაწვდომობა ნატო-ს BI-ის სანიმუშო კურიკულუმის გამოქვეყნებით 2021 წლის დასაწყისშიდა ნატო-ს BI-ის ცნობიერების ამაღლების ონლაინ კურსის შეთავაზებით ქართულ ენაზე.

უკრაინა: კეთილსინდისიერების გაძლიერება განათლებისა და წვრთნის გზით

2021 წლის ბოლოს საგრძნობლად გაიზარდა ნატო-ს BI-ის განათლებისა და წვრთნის აქტივობები უკრაინაში, რაც მოხდა უკრაინელი პარტნიორების კონკრეტული მოთხოვნით და გვიჩვენებს მათ მიზანსწრაფვას ჩართონ BI სწავლების ეროვნულ პროგრამებში და შეექმნათ ძლიერი და მედეგი ინსტიტუტები ეროვნული ადამიანური კაპიტალის გაძლიერებით. ეთიკასა და კეთილსინდისიერებაზე მიმართული გაზრდილი აქცენტით, უკრაინის ინსტიტუტებმა აღზარდეს ახალი თაობის პირადი შემადგენლობისა და ოფიცრების ახალგაზრდა კადრები ქვეყნის თავდაცვისა და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების სექტორში.

უკრაინა: ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლებისადმი მიძღვნილი გაცნობითი სემინარი შს სამინისტროს სასწავლო დაწესებულებებისთვის

2021 წლის 24 ნოემბერს ნატო-ს BI-მ ჩაატარა ონლაინ სემინარი უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ნატო-ს BI დაუკავშირდა ონლაინ თითქმის 800 ახალგაზრდისგან შემდგარ აუდიტორიას კიევის შინაგან საქმეთა ეროვნულ აკადემიიდან, უკრაინის ეროვნული გვარდიის აკადემიიდან, ხარკოვის შინაგან საქმეთა ეროვნულ უნივერსიტეტიდან, ლვოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ოდესის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ეროვნული აკადემიიდან, დონეცკის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დნიპროს შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ლვოვის ცხოველმოქმედების უსაფრთხოების სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, უკრაინას საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო სამსახურიდან და სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სამოქალაქო დაცვის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტიდან.

აუდიტორია გაეცნო ნატო-ს მიდგომას BI-ის მიმართ, მის კონცეფციას, ევოლუციას, ამოცანებს და მის გავლენას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორზე, როგორც ნატო-ს მოკავშირე, ასევე პარტნიორ ქვეყნებში. აუდიტორიის ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ანტიკორუფციულმა ნორმებმა, საკანონმდებლო ბაზამ და ინსტრუმენტებმა.

გაცნობითი სემინარის მონაწილეები უკრაინის შინაგან საქმეთა ეროვნული აკადემიიდან

სემინარი ძირითადად აიგო მონაწილეებთან ინტერაქტიულ ვირტუალურ დისკუსიებზე, რომლებიც ხაზს უსვამდა პიროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე კორუფციის აღმოფხვრის მნიშვნელობას და იმავდროულად კეთილსინდისიერების სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას. შედეგად შედგა ინფორმაციის ძალზე პროდუქტიული და კონსტრუქციული გაცვლა ახალგაზრდა თაობასთან. გარდა ამისა, ნატო-მ ყველა დამსწრე ინსტიტუტს მიაწოდა BI-ის რესურსების მასალების კოლექცია, როგორიცაა კარგი პრაქტიკის მაგალითების კრებული, კარგი მმართველობის სახელმძღვანელო და ნატო-ს BI-ის სანიმუშო კურიკულუმი.



გაცნობითი ონლაინ სემინარის მონაწილეები უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის 12 საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

უკრაინა: ინსტრუქტორების მომზადების პროგრამა კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგისა და განათლების ცენტრისთვის (BITEC)

ნატო-ს BI-მ განიხილა ინსტრუქტორების მომზადების პროგრამის II მოდულში უკრაინის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგისა და განათლების ცენტრისთვის (BITEC) ნატო-ს BI-ის ოპერაციებისა და მისიების კონტექსტში.

2021 წლის 25-26 ნოემბერს, BITEC-ის მოთხოვნით, 2021 წლის მარტში წარმატებით ჩატარებული I მოდულის შემდგომ დამატებითი ღონისძიების სახით, ნატო-ს BI-ის ექსპერტებმა, ნატო-ს გაერთიანებული ძალების ნეაპოლის სარდლობის მხარდაჭერით, ჩაატარეს ტრენინგი BITEC-ის ინსტრუქტორებისთვის, სადაც ყურადღება გამახვილდა კორუფციულ რისკებზე ოპერაციებისა და მისიების მსვლელობისას. კურსს დიდად წაადგა RAND Europe-ის, არაკომერციული კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტული გამოცდილება, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას კვლევისა და ანალიზის გზით.

ორდღიანი ტრენინგის განმავლობაში ექსპერტებმა აღწერეს ოპერაციებისა და მისიებისთვის დამახასიათებელი კორუფციული რისკების ფორმები და ტიპები, განმარტეს რისკების სწორად შეფასების მეთოდოლოგიური მოთხოვნები და ჩაატარეს პრაქტიკული სამუშაო. ნატო-ს გაერთიანებული ძალების ნეაპოლის სარდლობის წარმომადგენლებმა გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები და გამოცდილება ოპერატიულ შტაბში კეთილსინდისიერების მშენებლობასთან დაკავშირებით, ასევე განიხილეს კორუფციის გავლენა სხვადასხვა მისიებისა და ოპერაციების ეფექტურობაზე და ისაუბრეს პერსონალის მიერ კეთილსინდისიერების სტანდარტების შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

უკრაინის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგისა და განათლების ცენტრის (BITEC) ინსტრუქტორების მომზადების პროგრამის მონაწილეები.

უკრაინა: ლიდერობის, კეთილსინდისიერებისა და გენდერული ბალანსისადმი მიძღვნილი “MODUS-ის ინიციატივის”კონფერენცია;

პანელური დისკუსია " MODUS ინიციატივის" კონფერენციაზე

2021 წლის 4 დეკემბერს ნატო-ს BI-მ სიტყვით მიმართა კონფერენციას თემაზე ორგანიზაციული კულტურა სამხედრო გარემოში „MODUS Initiative“, რომელიც გაიმართა ფიზიკურად კიევში და ასევე ონლაინ რეჟიმში. ღონისძიების მიზანი იყო ორგანიზაციული კულტურის გარდაქმნის აუცილებლობის ხაზგასმა ბრძოლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. განხილულ იქნა ლიდერობა და კეთილსინდისიერება, როგორც გარდაქმნის მნიშვნელოვანი კომპონენტები.

უკრაინა: კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან ერთად

ონლაინ კონტაქტი ნატო-ს შტაბ-ბინასთან ბრიუსელში უკრაინის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული აკადემიური კვლევის მეორე საერთაშორისო ფორუმიდან.

2021 წლის 10 დეკემბერს, კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, უკრაინის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის კეთილსინდისიერების ამაღლების ტრენინგისა და განათლების ცენტრმა (BITEC) მოაწყო აკადემიური კვლევის რიგით მეორე საერთაშორისო ფორუმი თემაზე „კარგი მმართველობა და კეთილსინდისიერება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში“. ღონისძიება მიზნად ისახავდა BI-ის პროგრამებთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვას, მათი როგორც თავდაცვის ინსტიტუტების გაძლიერების მექანიზმის სახით გამოყენების კუთხით. ნატო-ს BI-მ აუდიტორიას ონლაინ რეჟიმში მიმართა სიტყვით ნატო-ს BI-ის პოლიტიკის დანერგვის შესახებ.

უკრაინის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული აკადემიური კვლევის მეორე საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთა ჯგუფური ფოტო.

უკრაინა: პარტნიორთა ხმა – ვიდეო

2021 წლის 9 დეკემბერს, კორუფციასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავად, ნატო-ს BI-მ გაავრცელა ვიდეო „პარტნიორთა ხმა: უკრაინა", სადაც ყურადღება გამახვილებულია BI-ის განათლებაზე, როგორც ცვლილების ვექტორზე. ვიდეო წარმოაჩენს უკრაინის იმ ინსტიტუტებში მომუშავე ადამიანების შეხედულებებსა და გამოცდილებას, რომლებიც პარტნიორობას უწევენ ნატო-ს BI-ს, მათ შორის აღსანიშნავია მინისტრთა კაბინეტი, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უკრაინის ეროვნული გვარდია, უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური და მათთან დაკავშირებული ყველა აკადემიური და საგანმანათლებლო დაწესებულება.

„პარტნიორთა ხმის" ფარგლებში ჩატარდა უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვა - ვიდეო.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროექტი - კეთილსინდისიერების ამაღლება და ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

I2021 წლის სექტემბერში ნატო-ს BI-მ წამოიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს BI-სა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისა ურთიერთგამაძლიერებელი გავლენის შესწავლას და გენდერული პერსპექტივების ინტეგრაციას BI-ს საქმიანობაში. პროექტი ხორციელდება ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრთან (DCAF) თანამშრომლობით.

ნატო-ს BI მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის და მასთან დაკავშირებული სხვა რეზოლუციების აღსრულებას. პროექტი მიზნად ისახავს ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავებას, რომელიც შეისწავლის კავშირს BI-სა და WPS-ს შორის და მათ ურთიერთმხარდაჭერას. არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობა და კარგი მმართველობა ურთიერთკავშირშია და ერთმანეთს აძლიერებს. ქალთა დაცვა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა შესაძლებელია ისეთ გარემოში, სადაც სრულად დანერგილია კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაძლიერებული მიდგომა BI-სა და WPS-ს შორის არსებული კავშირისადმი, მათ შორის, თავდაცვის ინსტიტუციური და პოტენციალის აღმშენებ-

ლობის, კონფლიქტების პრევენციისა და კრიზისების მართვის კონტექსტში, მიზნად ისახავს ნატო-ს პოლიტიკისა და პრაქტიკული მიდგომების მხარდაჭერას ამ სფეროში.

ნატო-ს BI-მ 2021 წლის 23 ნოემბერს პროექტის ფარგლებში მოაწყო ონლაინ სემინარი აკადემიურ ჯგუფთან ერთად, ცოდნაში არსებული ხარვეზების გასაანალიზებლად და BI-სა და WPS-ს შორის არსებული კავშირის დასასაბუთებლად წარსულში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით.

2022 წლის 3 მარტს ნატო-ს BI-მ ჩაატარა რიგით მეორე სემინარი თემაზე „კეთილსინდისიერების ამაღლება და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროექტი: ურთიერთკავშირი და ურთიერთგამაძლიერებელი ზეგავლენა", რომელიც გაიმართა ონლაინ რეჟიმში ქვეყნების წარმომადგენლების და საკითხის ექსპერტების

მონაწილეობით და მიზნად ისახავდა ორი ურთიერთგადაჯდობილი სფეროს გარშემო მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების ეროვნულ ინსტიტუტებში ინტეგრაციასთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკისა და მოწინავე სტრატეგიების მოსაზრებების გაცვლას.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების საინფორმაციო კურსი უკვე ხელმისაწვდომია ქართულ და უკრაინულ ენებზეც JADL-ის პლატფორმაზე



2021 წლის დეკემბერში ნატო-ს BI-ის საინფორმაციო ონლაინ კურსი, რომელიც გარკვეულ პარტნიორებს მიუწვდებოდათ ხელი, ხელმისაწვდომი გახდა ქართულ და უკრაინულ ენებზე.

საგანგებოდ შემუშავებული კურსი სავალდებულოა ნატო-ს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის. ნატო-ს BI ამ კურსს ინდივიდუალურ საფუძველზე ხელმისაწვდომს ხდის პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ნატო-ს თვით-შეფასების და ექსპერტული რეცენზირების პროცესში. ეგრეთ წოდებული, BI-ის პროცესი უზრუნველყოფს ნატო-ს BI-ის ფუნდამენტურ ცოდნას კურსში განსაზღვრული კარგი მმართველობის რეფორმებისა და მასთან დაკავშირებული BI პოტენციალის განვითარების აქტივობების საჭიროებების შეფასების და მასშტაბის განსაზღვრის მიზნით.

გარდა ზემოთ მითითებული ენებისა, კურსი ხელმისაწვდომია ნატო-ს გაერთიანებული გაფართოებული განაწილებული სწავლების ((JADL - https://jadl.act.nato.int/) პლატფორმაზე ADL.336 სექციაში ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზე. 2022 წლის გაზაფხულზე ნატო-ს BI და ACT შემოგთავაზებენ ამ კურსს რუმინულ ვერსიას.

2020 წლის იანვარში გამოქვეყნების შემდეგ, BI საინფორმაციო კურსს გაეცნო 12,000-ზე მეტ სტუდენტი ნატო-ს 45-ზე მეტი მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნებიდან და იგი დასახელდა JADL-ის 5 საუკეთესო კურსს შორის, რომელსაც ჰყავს 100,000-ზე მეტი მომხმარებელი, ვისაც იგი სთავაზობს 200-ზე მეტ კურსს.

არსებული პუბლიკაციების თარგმანები ახალ ენებზე



ნატო-ს ალიანსის ოპერაციების სტრატეგიული სარდლობის სახელმძღვანელო: კეთილსინდისიერების ამაღლება ოპერაციებში

ამ პრაქტიკული და ეფექტური სასწავლო ინსტრუმენტის ინგლისურ, ფრანგულ, ქართულ, ესპანურ და უკრაინულ ვერსიებს ახლა უკვე დაემატა რუმინული თარგმანი. ნატო-ს BI აპირებს მის გამოცემას არაბულ ენაზე 2022 წლის გაზაფხულზე. სახელმძღვანელო შემუშავებულია ნატო-ს გაერთიანებული ძალების სარდლობის მიერ ნატო-ს BI-თან თანამშრომლობით და იგი მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას კორუფციული რისკების და მათი გავლენის შესახებ მისიის წარმატებაზე ნატო-სა და შესაბამისი ეროვნული სტრუქტურების პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის გასაზრდელად.

https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_176187.htm

კარგი მმართველობის გზამკვლევები

ნატო-ს BI სიხარულით გაცნობებთ, რომ კარგი მმართველობის გზამკვლევი No. 6-10 ითარგმნა დარის და პუშტუს ენებზე, რითაც დასრულდა კარგი მმართველობის კრებულის თარგმანი ამ ენებზე (https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_177396.htm). 2022 წლის იანვარში, კარგი მმართველობის გზამკვლევის ოთხი ნომერი ასევე ითარგმნა რუმინულ ენაზე, იგეგმება სერიის 10 ნომრის სრულად თარგმნა 2022 წლის ზაფხულისთვის.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლება არაბულად



გარდა ინგლისური და ფრანგული ენებისა, ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა ხელმისაწვდომი გახდა არაბულ ენაზეც 2021 წლის დეკემბერში. BI-ის პოლიტიკა მიღებულ იქნა ვარშავის სამიტზე (2016 წ.), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დემოკრატიულ კონტროლს დაქვემდებარებული გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თავდაცვის ინსტიტუტები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობისთვის, რაც აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის უსაფრთხოების დარგში.
https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/12/pdf/0712-BI-Policy-ar.pdf

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლება არაბულად

2021 წლის დეკემბერში ნატო-ს BI-მ გამოსცა უახლესი პუბლიკაცია, რომელიც ნორვეგიის თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრმა (CIDS) შეადგინა არაბულ ენაზე. ეს პუბლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ და უკრაინულ ენებზე. ის გამიზნულია როგორც საჯარო მოხელეებისთვის, ასევე საჯარო სექტორის მენეჯერებისთვის და ამას გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. იგი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ნატო-ს BI-ის ძალისხმევის მიმართვას ადამიანური რესურსების მართვაზე აქცენტის გასაზრდელად.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების მომავალი ღონისძიებები

15 მარტი	სემინარი თემაზე „ნატო-ს BI-ის სანიმუშო კურიკულუმის ჩართვა ეროვნულ განათლებაში“ სტრატეგიული კვლევების ცენტრი, ბაღდადი, ონლაინ
16 მარტი	ნატო-ს BI-ის წვლილი თანატოლთა გაცვლის პროცესში „მდგრადი ცვლილებების ხელშეწყობა კორუფციული პრაქტიკის კონტექსტში “, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამა მრჩეველთათვის, ონლაინ
28 მარტი -1 აპრილი	ნატო-ს BI-ის მონაწილეობა სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის კონფერენციაში, დუბლინი, ირლანდია
6 აპრილი	ნატო-ს BI-ის ლექცია ნატო-ს ერაყის მისიის მრჩეველთათვის, მისიაში გაგზავნამდელი მომზადების კურსი, ონლაინ
11-14 აპრილი	ნატო-ს BI – სასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღება, ვიზიტი სარაევოში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში.
26-28 აპრილი	ნატო-ს BI-ის მონაწილეობა ყოველწლიურ დისციპლინის ფორუმში, ლიონი, საფრანგეთი
2-6 მაისი	ნატო-ს BI-ის ექსპერტული რეცენზირება, ბოგოტა, კოლუმბია
14-19 მაისი	ნატო-ს BI-ის ექსპერტული რეცენზირება, ამანი, იორდანია
16-19 მაისი	ნატო-ს BI-ის წვლილი დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ვიზიტისას, ტუნისი, ტუნისი
16-19 მაისი	BI-ის ლექცია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ძირითადი კურსის საგაზაფხულო სესიისთვის
24 მაისი	ნატო-ს BI მოთხოვნათა განხილვის სემინარი, ნატო-ს შტაბ-ბინა ბრიუსელში, ონლაინ
22-23 ივნისი	ნატო-ს BI ლექციები ნატო-ს სასროლი იარაღის და მსუბუქი შეიარაღების და განნაღმვის კურსი, ნატო-ს სკოლა, ობერამერგაუ, გერმანია
27 ივნისი-1 ივლისი	კეთილსინდისიერების ამაღლება მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების მსვლელობისას - PSOTC-ის კურსი (BIT-BI-25657), ჩატარების ადგილი დასაზუსტებელია
ივლისი, დასაზუსტებელია	ნატო-ს BI-ის მაღალი დონის კონფერენცია, ტუნისი, ტუნისი

ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია და ევროკავშირი არიან კეთილსინდისიერების ამაღლების სატრასტო ფონდის მმართველი საბჭოს წევრები.

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ: ქალბ. ბენედიქტ ბორელს

ნატო-ს ოპერაციათა სამმართველოსთან არსებული თავდაცვის ინსტიტუციური და პოტენციალის აღმშენებლობის დირექტორატის

კეთილსინდისიერების ამაღლების ჯგუფის ლიდერს

ნატო-ს შტაბ-ბინა, ბრიუსელი

იმეილი: borel.benedicte@hq.nato.int

დამატებითი ინფორმაციისთვის ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესის თაობაზე გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ვებ-საიტებს:

https://buildingintegrity.hq.nato.int/

NATO Building Integrity

იმეილი: building-integrity@hq.nato.int

1806-21 NATO GRAPHICS & PRINTING